ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 481

19 ოქტომბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.005.01.516) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.005.01.516) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 სექტემბრის №21.1356.1538 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში, პირველ სართულზე, მდებარე 86.45 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.005.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე თეონა მახვილაძისთვის (პ/ნ. 41001007689) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს: თეონა მახვილაძის (პ/ნ. 41001007689) საკუთრებაში არსებული №01.17.11.014.005.01.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნათია ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ. 41001005832) საკუთრებაში გადაცემა „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.014.005.01.516) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 სექტემბრის №21.1356.1538

განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე